


მშობელი

№ 37

1917

სოლომონ ბრძენი

(ბიბლიიდან)



სოლომონ ბრძენი. რა კი ვერ გავვირკვევია ვისი შვილია ევ ნორჩი თავი-
სუულგმა, გაქერით შვაზე. დაე ორივე მხარეს ხედეს კუთვნილი თავისი.
ბურჯუაზია, (ჯალათს) გასქერით, გასქერით, თუ ჩემი არ იქნება ნურც
სხვას ერგება.
დემოკრატია. ნუ გასქერით, ნუ, ნუ! დაე ისევ იმან წაიყვანოს, ოღონდ
ცოცხალი კი დარჩეს.

ს ტ უ მ რ ო ბ ა .

ქუთაისის სტუმრობა
 არ გეგონოთ ხუმრობა,
 ერთი უბედურობა
 არის აქ უბურობა;
 მეორეა უწყლობა—
 რიონის ბინძურობა
 მესამე-კი ფანტების
 ბეუტვა, უნათურობა!..
 ქუჩებს ნულა იკითხავთ
 მათი უსუფთაობა,
 ყველამ უწყის, მოწმეა
 ძველი, ახალ-თაობა;
 ვაი, სტუმრისა ბრალი
 და მისი ბედ-შაობა,
 თორემ ადგილობრივ მკვიდრთ
 უყვართ აქ ბუქნაობა!..
 არაოდეს არ მახსოვს
 სადმე გზაში დაობა,
 ყველგან სხვა ქალაქებში
 მქონდა გამბედაობა;
 მაგრამ აქ—ქუთაისში
 ჩემი მოგზაურობა,
 იყო სწორეთ ხიფათი
 დიდი უხერხულობა!..
 გაველ თუ არ სადგურზე—
 დაჰკრა ზეცამ ღვეშია,
 (ვაი იყოს თქვენს მტერზე)
 მე ჩავვარდი ღღვეშია;
 აბა, ეხლა გიყვარდეს
 გავლა ამ წუმვეშია,
 არც ეტლი არც ურემი
 არაფრის ნუგვეშია!..
 უკუნეთი მეფობდა ქალაქის
 ბნელ ქუჩებში,
 (ენა სულმოლათ გამიშრა
 მოკუბულსა ტუჩებში);
 ვიდექ უხზოდ სადგურთან—
 ვიყავ მწარე ფიქრებში,
 (ალარც ქანქარი მქონდა
 ბლომათ შარგლის ჯიბეში)!..
 — „რა ვქნა, გავყვე ბინისკენ,
 თუ აქ დავრჩე დილაძლია?
 უცებ წამოვიძახე, თანაც
 ძალზე ვგმინავდი;

საშველი არსა იყო—
 ისევ „მუშას“ მიგვარდი,
 დავედრიჯე საცოდვრად
 გაუზიარე დარდი!..
 იმან, იმ დალოცვილმა
 სამი მანეთი მოხოვა,
 თანაც მატულობს წვიმა—
 ჩემ ჟინზე ჩამოთოვა!
 რა მექნა?—გაფხენენ ქისა
 შევამოწმე ფულები,
 ჩემი იყო თუ სხვისა
 მქონდა შენახულები
 დავეთანხმე უვაქროთ
 მივეც ბარგი ბარხანა,
 მიუთითე გზისაკენ—
 მე უკან გავყვე თანა.
 მივიღვართ და... ქაობთა
 ისმის ტყლაშა ტყლუშენი,
 „მუშა“ მეტათ ჯგავრობდა—
 ცას გაჰქონდა გრუხუნნი.
 — „ასეთ ცოდვილს ჯობია
 რომ არ იყოს კაციო,
 როგორ უნდა ვიცხოვროთ
 სიძვირეში აწიო“?!
 წარმოსთქვა თანამგზავრმა
 მომაშტერა თვალები,
 მე ჩქარ-ჩქარა გავბოლდი
 წვიმით დანასველები.
 როგორც იყო, მიველი
 ჩემს ბინაზე შევიღობით,
 ბარგის წამლებ მთრეველი
 გავისტუმრე რიღობით;
 და, როს მივექე საწოლზე
 ისე ღრმით ჩამეძინა,
 რომ ჩემს რთულსა კითხვებზე
 ფიქრი შემაწყვეტინა!..
 ეხლა ამით ვათავებთ
 სტუმრობაზე საუბარს,
 სხვა ჟამს ბევრს მოგახსენებთ
 ქუთათურთა „ოთურმას“;
 დეე, თქვენც გაეცანით
 ამ ქალაქის ზნე-უნარს,
 მკვიდრთა „დიად საქმეთა“—
 საქებსა და საწუნარს.

ალბურონი.

ლია ბაკათი

შუააზიიდან.

კაცო-ეშმაკო! ამდენს ეშმაკობ
და საეშმაკო კიდე გაქვს რამე?
რაც შენ შხამს ანთხევ ავსულთა თავზე,
ნუ თუ სიცოცხლე ვერ ჩააშხამე?
ათი წელია თავზე ევლები
მა კავკასიას, მთელი დღე-ღამე.
სულ აქ მორბიან ცოდვიანები,
მაქეთ მხარეში თუ იყენენ სამე.
ბევრ რამეს შეგძენს მოგზაურობა,
აქეთ წამოდი, ღმერთი იწამე...
დაანთე ცეცხლი ჯოჯოხეთისა.
ამე ღმერთს და შენც ისიამე.

საკვირველია თუ შენ არ გაცვდი,
როგორ ვერ გაცვდა მათრახის კული?
ან რას დავეძებ? თუ წამოხვიდე
წამოიყვანე მსაჯულთა გუნდი.
ეს კი იცოდე აქეთ სიცხვა,
დიდხანს ვერ გაძლებ თუ არ გაბრუნდი.
ვერც კი აუხვალ იმდენი არის
აქეთ საცემი და გასაგული.
მაგრამ რაეცი... სხვა დარდი არ მაქვს
ეშმაკობაში თუ არ გახუნდი..

აქეთ სასჯელათ არც კი ითვლება
მათრახი, ჯოხი და მისთანები.
პირველ გაკვეთილს შეგასწავლიან
ჩვენი ემირის დიდი ხანები.
სამსჯავროში ბლომათ აწყვია
მარწუხი, თოკი, გრემლი დანები.
უბრალო, ქათმის ქურდის თავებით
მოკენქილია მათი ყანები.
გული დაგეწვის რომ დაგინახავ,
ჯოჯოხეთისკენ გაექანები.
შუა გზამდეც კი შემოგელევა
სიტყვები გულის მოსაფხანები
მაგრამ რაუყო, ბედს დაემდურე.
არ შემიშინდე, გეთაყვანებიპ
შემთხვევა იყოს მარტო ნუ წახვალ,
ბევრია იქით წასაყვანები.

სახელი შენი დარჩება ქვეყნათ.
წმინდან-წამებულს დამგვანები.

რაც იყოს, იყოს! გაბედე ერთი.
გამოიჩინე შენი გმირობა.
სახარჯოთ ბევრი არ დაგჭირდება
აქეთ არ არის მაგრე ძვირობა.
მიწა ბევრია. ამასთანავე
ძალიან იცის ფულის ხშირობა.
თუმცა ამ საქმეს თანა სდევს კვალში
გაუტანლობა და ორპირობა.

სასიარულოთ საადვილოა
და სანაუარლო რამდენიც გინდა,
ტრიამელია განუზომელი,
თუ მალე მუხლი არ შეგიშინდა.
ექვს თვეში აღარ გაავდარდება,
თუ ერთხელ ზეცამ გადაიწმინდა.
ყოველ შვა დღეზე აქ დაიძინებ
და გაიღვიძებ თუ დაიბანდა.

აქ თბილისივით ხრამი როდია,
მოსატეხელი კაცის კისერის.
გინდა იხტუნე რამდენიცა გსურს,
იმდერე, თუ კი ნიჭი გაქვს მღერის.
აქ ვის არ ნახავ და სადაურსა?
რომელ ტომის, რომელი ერის?
სხვა და სხვა ენით მოსაუბრენი,
სხვა და სხვა სახის, სხვა და სხვა ფერის.
კაი საქმელო საქმე კი არის
მოყვარისაგან გარჩევა მტერის
გული უაფარავს მათ საიდუმლოს
და სახეს კიდე ლაქები მტერის.

მე ქართველთათვის მოგიწვევ აქეთ.
სხვა ყველმს თვისი ეშმაკები ყავს.
ღონ ზე უფრო ხერხი იხმარე
და ერთბაშათ მათ ნუ შეაკლავ თავს.
წითელი ფერი ბატონობს ახლა
და შენთვის აღარ ჩაიცვამენ შავს.
ყველა ჯიუტათ შეგებრძოლება,
თავის შავბირსა მუშტით დაიცავს.

აქ არ აღეღვებთ არცა წარსული,
არც ამა ქვეყნის გადაბრუნება.

დროთა ცვლილებამ ველარ შესცვალა
 მუდამ დახშული მათი გუნება,
 საყოველ დღეო გულის სილარჩეს
 თან ერთვის სულის დაძაბუნება.
 იცოდე რომა ბევრგან შეგხვდება
 ცარიელს თავზე დაკაუნება.
 იქნებ როგორმე ღვთის ჩაგონებით
 შესძლო იმათი გამობრუნება.
 ძნელი კი არის, მათ ვერ უშველის
 მათრახის მარტო ხშირი ცხუნება.

ამ ახალს დროში ახალ სასჯელათ
 თუ გაქვს ახალი გამოგონება.
 მათრახზე უფრო გრძელი, მოქნილი,
 თვალსა და გულს, რომ მოეწონება
 ერთის მოქნევით დაიმორჩილოს
 ჯერ მოუქნელი კაცის გონება.
 სხეული დაწვას კუბრის ნათელში.
 სულს ჯოჯოხეთის მისცეს ცხონება,
 და თუ, ეშმაკო, ღმერთმა მოგმადლა
 ამ იშვიათი რამის ქონება,
 მაღლათ გექცევა აქეთ წამოსვლა
 და ცოდვით კიდევ მანდ დაყოვნება.

აქეთკენ დიდსა თუ პატარასა
 სისაძაგლეში დიდი აქვთ წილი.
 სიცუდეს სჩადის თავმოწონებით
 შესახედავათ კარგი ყმაწვილი.
 ურცხვმა არ იცის, თუ რომ არსებობს
 სამაგიერო სადმე სირცხვილი.
 მას თავის პირად ქებათ მიაჩნის
 ზურგს უკან სხვების ყალბი სიცილი.
 შოლტი... მათრახი კი დაგპირდება
 თითოსთვის მგონი ოროლი წყვილი,
 და არც სისხოთი დაწუნება
 ღვთის მაღლით თუ კი იქნება მსხვილი.
 დისაფიქრელი არაფერია,
 მათ ზურგის კანი არა აქვთ ჩვილი.
 ახლა მივხდები, თუ დაიჯერებ,
 თუ ხარ ნამდვილი სატანის შვილი,
 კაცთა სასჯელათ ჯოჯოხეთიდან
 სამარადისოთ გამოგზავნილი.
 გთხოვ დიდებულათ დაავიკრგინო
 საქმე უბრალოთ გამოაწყობილი.

ასხაბადელი.

რედაქციისაგან.

დროთ პატივცემულ ამხანაგ ეშმაკის წყალ-
 ტუბოში ყოფნის დროს აღმოვაჩინეთ კლიშეების
 დიდი კანტრეკლედიუციონური შეთქმულება. კლიშეებს
 მიზნათ ქონდათ დისციპლინის სრული გაუქმება და
 ჟურნალის გვერდებზე თავისუფლათ ნაფარდი. მი-
 ლებულები ენერგიული ზომების წყალობით შეთქმუ-
 ლობა თავშივე იქნა შეწყვეტილი. სამწუხაროთ,
 ორმა კლიშემ მაინც თავისი გაიტანა. ერთი მათგანი
 მე-11 გვერდიდან მე-16ზე გადახტა, მეორე-კი
 მე-16 დან მე-11ზე. ამას თვითონაც მიხვდებოდა
 წინა ნომრის დაკვირვებულათ წამკითხავი.
 სრული იმედი გვაქვს, რომ ამხ. ეშმაკის თფი-
 ლისში დაბრუნების შემდეგ რევოლიუციონური
 დისციპლინა აღდგენილ იქნება და ასეთ გამოვლას
 კლიშეებისას ადგილი აღარ ექნება.

გლეხი და მღვდელი

გლეხს ოჯახში გადამდები ავთომყოფობა გა-
 უჩნდა და რამოდენიმე კვირის განმავლობაში ცო-
 ლი და რვა ქალ-ვაჟი ერთი მეორეზე დაუხოცა.
 დიდს გაქირვებით დასაფლავა გლეხმა ამდენი მი-
 ცვალეზული და ისედაც ღარიბი და ხელმოკლე
 საგრძნობლად დავალიანდა. ძალზე შეწუხებულმა
 გლეხმა მევაღეებს ჩამოუარა და ვალის გადახდაში
 შესაძლებელი შეღავათი სთხოვა. ყველა შეპირდა
 შეღავათს, ყველა შევიდა მის გაქირვებაში და ზო-
 გიერთმა სრულიადაც აპატივა ნასესხები. ბოლოს
 გლეხი მღვდელთან მივიდა და ამასაც სთხოვა ვა-
 ლის გადახდის შემსუბუქება. მღვდელმა უბასუხა—
 მამა და შვილო, ვანა მე ჩემთვის გახდევინებ ფუ-
 ლს? შენი ნებაა, შვილო, ყველაფერი. შეგიძლია
 არაფერი არ მომცე, მაგრამ შენსავე მიცვალეზუ-
 ლებს ავნებს, დახოციტ ხომ დაგეხოცა ყველა, ეხ-
 ლა თუ მათ საწირავ-სალოცავი არ გაუეცი ყველა-
 ნი წაწყდებიან და ჯოჯოხეთში ჩაგიცვივდებიანო.
 გლეხი წავიდა, ნახევარზე მეტი თავისი მიწა-
 წყალი მეზობელ ვაქარს მიჰყიდა და აღებული ფუ-
 ლი მღვდელ-ღიაკონს მისცა საწირავ-სალოცავათ.

თვითონაც, როცა სხვების ვალიც გადაიხადა ისევ მღვდელს დაუდგა მოჯამაგირეთ და მღვდელისავე დარბევით მხურვალე ლოცვას მიჰყო ხელი, რომ ამ გვარად მიცვალებულებს წირვა-ლოცვა უფრო წასდგამოდა. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, გლეხმა ყველა ვალები გაისტუმრა, მაგრამ დაკარგული ცოლშვილის მწუხარება ვერას გზით ვერ მოიქარვა. ერთ საღამოს გლეხმა თავისი სულის მდგომარეობა მღვდელს შესწივლა და დახმარება სთხოვა.

— ყველაფერი ჩვენი ცოდვების ბრალია, შვილო, — აუხსნა მღვდელმა, — განაგრძე მუშაობა და ღმერთიც შეგიწყალებს — შეძლებას მოგცემს, მწუხარება გადიტანოვო.

როდესაც გლეხს მღვდელთან ოცდაათი თუმანი შეუგროვდა მისაღები ჯამაგირი, იფიქრა: მოდი ისევ საკუთარ სახლკარს გავიჩენ, ეგებ ახალმა ცხოვრებამ თავი შემაქცევინოსო. მღვდელმა უთხრა:

— ამართა ამოებაა, შვილო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე. მაგით თავს ვერ უშველი, შენ ალბათ დიდი ცოდვილი ყოფილხარ, ღმერთმა რომ ასე სასტიკათ დაგსაჯა, ქვეყნიერ ქონებას ის გირჩევნია, სულიერი რამე შეიძინო და ცოდვების მონანიებას შეუდგეო.

— როგორ მოვიქცე, მამაო? ჰკითხა გლეხმა.

— როგორდა, გაჰყიდე ისიც, რაც მევალებს გადავიჩნა, შენი ხვედრი ოცდაათი თუმანიც და მიწის საფასურიც ჩვენ ეკლესიას შესწირე და შენც იერუსალიმში წადი სულის საცხოვრებლად.

გლეხიც ასე მოიქცა: ადგილ-მამული გაუყიდვლად ეკლესიას შესწირა, ჩაიკვა, დაიხურა და მღვდელს თავისი ოცდაათი თუმანი მოსთხოვა საგზაო ფულად.

— თუ დამიჯერებ, შვილო, მთლათ უნდა დამიჯერო, რათ გინდა ფული? სახარებაში ასე სწერია, როდესაც ვინმე სულის საცხოვრებლათ მიდის, არც ფული უნდა ჰქონდეს თან, არც ვერცხლი, არც მჭობრო და არც უბრალო გროში, — არც საგზაო ხალთა, არც ორი ხელი ტანისამოსი, არც ფეხსაცმელი და არც ჯოხი.

გლეხი განცვიფრდა, მაგრამ მღვდელმა მათეს სახარების მეათე თავი გადაუშალა გლეხს და თვითონვე ამოაკითხვინა ზევით მოყვანილი სიტყვები.

— კი მაგრამ, მამაო, გზაში რომ მომშივდეს რალა მეშველება?

მღვდელმა კიდევ გადაუშალა მათეს სახარების მეექვსე თავი საიდანაც ორიემ ერთად შემდეგი ამოიკითხა: „ნუ ზრუნავთ თავისა ფქვენისათვის რაი სვათ, რაი სქამოთ, ანუ რაი შეიმოსოთ — მოხედეთ ფრინველთა ცისათა, რომელნი არა სთესვენ, არცა მკიან, ხოლო ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ“.

— დღეს ხომ სქამე შვილო, უთხრა მღვდელმა, ხვალისათვის კი ნუ ზრუნავ! სწერია ამავე სახარების მეექვსე თავში. მაშ ნურაფრის დარდი გაქვს. გაუდექი გზას და პირდაპირ იერუსალიმში ჩახვალ. თუ ფეხით სიარული მოგწყენდეს, ვირს ნახავ სადმე ღობეზედ მიბუღს, ახსენი, შეგჯექი ზედ და წადი, ასე მოიქცა თვით მაცხოვარი როდესაც იგი იერუსალიმში მიდიოდა დააბოლოვა მღვდელმა.

გლეხი გამოემშვიდობა მღვდელს, გაიხადა საცვლების მეტი ყველაფერი, ორიოდე ჯიბის გროშაც ძირს დაჰყარა, ხელიდან ჯოხი გადაადგო და გზას გაუდგა.

ორიოდე სოფელი არ ექნებოდა გავლილი, როდესაც ძალზე მოშივდა. გაიხედა მინდორში და დანიხა რომ ბატები ბაღახსა სქაშდენ, მოაგონდა მღვდლის სიტყვები — შეხედეთ ფრინველთა ცისათა-მსწრაფლ მიწაზე გაფორთხდა და მწვანე ბაღახს დაუწყა პირით ბღღვნა და ქამა, მოცილდნენ მწყესი გოგო ბიჭები და ახალ მოდის გადარეული სიცილ ხარხარით ადგილიდან გააგდეს. საშინლად სცხელოდა. გლეხს მზემ ზურგი აუწვა და აუტანელომა წყურვილომა დასტანჯა, იქვე დიდი წუმზე იდგა. დაუწვა გლეხი, გაუმძღორად დაეწაფა. წელიწადელ ნაქამ ბაღახს წუმზე დაერთო და გლეხის მუცელში საშინელი ამბავი დატრიალდა. მკვდარ ცოცხალი გლეხი მიწაზე დაეცა და ძლივს მოსულიერდა, ისიც სიშინელმა შუადლის აღმურმა გამოაფხიზლა. შეხედა კამეჩები წუმზეში იწვნენ, აქაც გლეხს მღვდლის სიტყვები გაახსენდა „შეხედეთ ფრინველთაო“ გულშეწუხებულს კამეჩები ფრინველებათ მოეჩვენა და წუმზეში ჩაუწვა.

როცა ოდნავად გაგრილდა ისევ გზას გაუდგა. გაუდგა, მაგრამ სიციხითა და შიმშილით ფეხებს ძლივს მიათრევდა. სოფლის ბოლოს ნახა ღობეზე მიბმული ვირი, ახსნა, შეჯდა და არხეინათ განაგრძო გზა.

ვირის პატრონი გამოუდგა გლეხს, ძირს გადამაბანა და ძალზე მიტყუა. გლეხი, როგორც მას მღვდლიდგან დაბარებული ჰქონდა, ისე მოიქცა,

და ხმაც არ ამოუღია. ვირის პატრონი ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და გლეხს კარგი სილა გააწნა. „ოდეს“ გცემნენ ყვრიმაღსა ერთსა, მიუშვირე მეორეცაო. გაახსენდა გლეხს მღვდლის სიტყვები და ვირის პატრონს მეორე ყბა შეუშვირა. ვირის პატრონმა აქეთაც გააკრა სილა. გლეხი ხმასაც არ იღებდა. ვირის პატრონმა იფიქრა, ეს ნამდვილ ვილაც გვირავო, ერთი წიხლიც ჩაპკრა და თავის ვირით უკან გამობრუნდა. ყბებ გიხურებული, ფეხ და თავი შეშველა გლეხი ისევე გზას გაუდგა. მეორე სოფელში რო შედიოდა, მას ძაღლები დაეხვეწენ. რადგან ჯობი მღვდელმა შინ დაატოვებინა და სხვის აღებას კი ვერ ბედავდა, გადასწყვიტა ძაღლებს ცალიერი ხელებით შეხვედროდა. შეხვდა, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, ძაღლებმა საცვლებიც შემოახიეს და კუნთებიც გამოქამეს. ცოცხალ მკვდარმა გლეხმა ღამის გასათევად ტყეს შეაფარა თავი. ერთ ღიდ მუხაზე შეტოცდა, პირჯვარი გადიწერა, მღვდლის ნასწავლები ლოცვა წარმოთქვა და ჩაეძინა. მეორე ღდეს იერუსალიმისა და სულის ცხონების მაგიერ ნახეს ხიდან ჩამოვარდნილი, საშიშრად თავგაბობილი გვამი მისი.

ფარაონი.

მესტვირული.

(სამდროო).

თითქმის წლის ბოლო ჩამოდგა,
სტვირზე არ დამიდგერია.
არ მომიმართავს ქამანჩა,
გრძნობით არ ამიქდერია.
არ გამიფერთხავს ბურუსი,
რაც გულსა ზედან ხვევია
თუმც სასიმღერო შაირნი
ქვეყნათ მრავალი ფერია:
ომი; სიმშლი, ვაება,
ჰა, რას მოუცავს ერია,
მოძმე მოძმესა ყელსა სჭრის,
მოყვარე მოყვრის მტერია,
გული ბოღმითა აღსავსე,
ტანჯვებსა დაუსერია
ზურგს წამოვისნი ნაბლუკა,

ავდრისგან დამფარავია
გულა მხარს გადავიკიდე,
სტვირი ზედ დასაკრავია,
და მოვამზადე სამგზავროდ,
ეს ჩემი მოსართავია,
და წყნარი ღიღინ-ღიღინით,
ბათუმს ამოყვავ თავია.
ვაგზლის ქუჩაზედ შევწერდი,
აქ ვაპირებდი „ხუმრობას“
ყველა სიამით მიტყერდა,
ჰკვირობდენ ჩემსა სტუმრობას,
ზოგს უხაროდა გულითა,
ზოგსაც ვატყობდი მღურვობას,
კარგათ იკოდენ ვძრახავი
მე მათსა უსაქმურობას,
შეჯგუფებულნი ქუჩებში,
ხეივანთ ასაყვავადა
ფაქისსა გრძნობას ზრდილობას
მეტად ხმარობენ ავადა,
თავსა ესხმიან დიაცთა
სირცხვილის მოსაკლავადა.
„სევერნი ნომერს“ მივადექ,
შეველე შეველ კარია,
თავს წავადექი „კაკუნებს“
მუნ ვნახე ვასახარია,
ამ მოწინავე ამხანაგთ,
გაუჩითიათ კარტია,
ესენიც ჩენი მხსნელები!
და რწფელი დემოკრატია!
კარტ ნარდოსნობა ამათვის
ღდეს სამლოცველო ხატია.
ავანმატკბილე სტვირი მე
და მიუმღერე ყრილობას
— ეგოისტებო სიტყვითა,
არ სცდილობთ საქმის ფრთხილობას
რა პასუხს ვასცემთ ამ ქცევით,
მომავალ შვილიშვილობას,
შემდეგ ვავსწიე მიტინგზედ,
ხალხიცა ბლომათ კრთებოდა
წითელი დროშა მოჭქონდათ,
ზედ სისხლის ფერი სდგებოდა,
ჯგუფ ჯგუფათ სრული წესრიგით,
მოედანს ესწრაფებოდა,
მოშავდროშენი კი ამ დროს

სარკეებიდინ ჰკრთებოდა,
 თვალს ადევნებდენ, შხამითა
 მტერს გული მით ვესებოდა
 რომ მოძმეთ გულში ურთერთის
 ერთობა ითესებოდა
 რა დაიშალენ ყველანანი,
 მე სადგურს მეჩქარებოდა,
 გურიის ნახვის ვადისა
 დროება მეკარგებოდა.
 მატარებელში სიტყვები,
 რაც გავიგონე იქ თქმული,
 კანტროლთა მექრთამეობა,
 და ქცევა ის უზრდელური,
 „ძველ სიშიკების“ იქ ყოფნა,
 იყო ეს თვალდანახული.
 რამექნა სიტყვა ვერა ვსთქვი,
 რაც იმათ შეეხებოდა,
 ვაჰ, მეშინოდა „სიშიკთა“
 მე ხელი შეეხებოდა,
 სიცრუის მთქქელად ჩამთვლიდა
 ვისაც არ გაეგებოდა,
 მიტომ სიჩუმე ვარჩიე,
 რომ ტანჯვა არა მრგებოდა.
 თვალ ნატკენ სანახავობით...
 სადგურ ნატანებს ჩიველი,
 მატარებლიდან გამოველ,
 და ეტლისათვის წაველი,
 მაგრამ აქ ალიაქათი
 თურმე ყოფილა რაძნელი
 ეტლისა შოვნა, მგზავრობა,
 ყოფილა დასატანჯველი,
 როგორაც იყო ვიშოვე,
 ვალისგან თვარ გავიწურე,
 ოზურგეთს მინდა ვესტუმრო
 „ვსდევთ კუნწულის ის ყურე,“
 გულდა და სტვირი დავმალიე,
 ზედან ნაბლუკა დავხურე,
 არ შეემჩნიათ მინდოდა,
 მე მისი მოსამსახურე.
 მივედი ქალაქს ოზურგეთს
 ტურფად და ნაზად შემკულსა,
 ყვავილს მონაწყვეტს სამოთხის,
 და ხეს ედემში დარგულსა,
 სად გაუშლია თვის გული
 უსუფთაობას ქებულსა
 სად აღუმართავს ბრძოლის მთა,
 ღრუტუნებს დასუქებულსა,
 ფედერალისტთა ბიუროს
 უმაღ მივადექ კარზედა:
 სამი კაცისგან შესდგებით,
 ნეტავ ირჯებით რაზედა,

ბეჟანი ცენტრსა განგებს,
 მიხა კი არის განზედა,
 აქტიურ მუშაობაში,
 ყოველთვინ სდევხარ ვარზედა.
 მხოლოდ ეს „ცილისწამება“
 არ ითქმის პროვიზორზედა,
 იგი ბეჟანის კულდა,
 არ გასცელის ერთ ჯამ დოზედა,
 მოძმენო თქვენი სიტყვანი
 აქ არად გამოდგებიან
 ვით უღამნოსა დალილი,
 დიდ ყურა დავარდებიან.
 და თქვენი დემაგოგობით,
 თქვენ ნდობა დამდაბლდებიან
 თქვენი სიტყვების რიხრიხით,
 აღარა მოსტყუდებიან,
 თქვენ რასაც ეძებთ აქ ისა,
 ძნელათა იპოვებიან
 აქ თქვენი სიტყვა და საქმე
 ვით თოვლი განქარდებიან.
 ქუჩად ვიხილე სოფლელი
 იყურებოდა ცაშია:
 ვიკითხე: რაზედ ოცნებობ
 გლოვანი შენი რაშია?
 ხელათ მომიგო ჰასუხი,
 გადავცივიდითო ზღვაშია,
 თოხი კუთხეში მიგღია,
 ვერ ჩაველ მე ყანაშია,
 წვიმებმა გავგანადგურა,
 ველარც გავსულვართ კარშია
 ჩემი იმედი გულისა,
 შიგ მუხლამდისინ წყალშია,
 ქვეყანას შიმშილობისა
 გარს ერტყმის შავი არშია,
 ოხ ღმერთო დარი გვადირსე,
 ვიხრჩვებით ამ ავდარშია
 ქირნახულს გამევეთხოვეთ
 აწ მომავალსა წელშია,
 რათ მკითხავ მიკვირს ძმობილო,
 თუ რათ ვარ მწარე ფიქრშია?
 თვალზე ცრემლები მომადგა,
 მაშ რალა მემღერებოდა?!
 მწარე ფიქრებში გავერთე,
 გული არ იმედდებოდა
 თუ რომ ასეთი „მოვლენა“
 ბოლომდის ასრულდებოდა.
 სიმშობის შავმა აჩრდილმა
 სულ მომიშალა მოლხენა
 გული დალონდა დარდებით,
 სტვირსაც დაეტყო მოწყენა.

უსხსნლკარო

გზიას ზღაპარი

(წარმოთქმული 1977 წელს)

იყო და არა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე.

თითონ მას ეგონა, ბარტყებო, რომ ღვთის უკეთესი იყო, თორემ, იგი გშმაკზედაც უსაშინლესი იყო და ჯოჯოხეთზედაც უზნელესი.

მე იმ დროს ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ვცხოვრობდი მამიჩემის ოჯახში წყნარათ და თავისუფლად.

ერთ მშვენიერ ზაფხულში ქვეყნად საშიშარი ამბავი დატრიალდა.

მთელი ქვეყნის ხემწიფეები წაიხზებენ და ერთ-მანეთს მიესიენ. შეიქნა შეუბრალებელი უღეტა. დღე ერთი იყო, ათი ათასობით ხალხი წყდებოდა.

ომმა ჩანთქა არა თუ მარტო ხალხი, არამედ ყველაფერი სანოვაგეცა და საომარი სურსათიც.

პაპატქვენი მაშინ მოკლეს სადღაც შორს რიგის ყურგისთან და ჯერაც არ ვიცი სად მარხია მისი ძვლები, რომელ ხის ძირში.

რაც დღე მიდიოდა სიცოცხლე თან და თან ძნელდებოდა.



— მე მიქაშია და მამათქვენისთვისაც მიქმევია ქაოშის კვერცხი, რომელიც ცალი მანეთ ნახვარი ღირებულა.



— თქვენ გიკვირთ პატარებო? მე ხშირათ მისვამს ღვინო, რომელიც ბოთლი ხუთი თუმანი

ღირებულა! კონიაკი ჩვენთვის ხელ მიუწვდომელი იყო, ვინაიდან პაპათქვენი მხოლოდ 1200 მანეთს იღებდა თვეში ჯამაგირს.



— ერთ ზაფხულში მე შლიაბა ვიყიდე, რომელშიაც ჩემმა ქმარმა ორი თვის ჯამაგირი 2,400 მანეთი მისცა.



— თქვენ, ჩემო პატარებო ჯერ რა ვინახავთ! აბი ამ ფეხებზე მაშინ მეცვა 400 მანეთიანი ტუფლები

და განა მარტო მე, იმ დროს ყველა ასე ცხოვრობდა, რადგან უბრალო მუშაც კი თვეში 400 მანეთს იღებდა.

ქუთაისი

(ბევრჯერ ნაცვითი*) ლაზარე შურღაია და ხო-
ნელი მეეტლე.)

— გამარჯობა, ამხანაგო შენი! — მიესალმა
ლაზარე მეეტლეს

— გაგიმარჯოს, ბატონო ღმერთმა, — უბასუ-
ხებს მეეტლე და თან ჩაიცინებს.

— ხონში მინდა წასვლა პარტიის საქმეზე და
ადგილი ხომ არ გექნება ეტლში?

— კი ბატონო — წინა გნებავს თუ უკანა?

— რათქმა უნდა უკანა, მხოლოდ ფასი რა
ექნება?

— ბატონო, თქვენისთანა შეძლებული კაცი
ფასს რად კითხულობ, ჩაბრძანდი და წაგიყვან

— არა მინც საჭიროა წინადაწინ გავიგო, რომ
შემდეგ ლაპარაკი არ შეგვექნეს.

— უკანა ადგილი, ბატონო, ათი მანეთი ელი-
რება!

— უჰ, რას ამბობ კაცო, აგრე ძვირათ — გა-
გიგონია? შენ ხომ სოც. დემოკრატი იქნები და
განა ეს ეკადრება ხალხის ინტერესების დამცველ
პარტიის წევრს? (ლაზარე ჩუმით იცინის).

— რა ვქნა ბატონო, მართალია მე სოც. დემო-
კრატი ვარ და აგრე ძვირათ დაფასება ძალიანაც
მიმძიმს, მაგრამ უნდა გაგიტყდეთ საიდუმლოებაში
ცხენები მყავს სოც. ფედერალისტების პარტიის
წევრები და ნაკლებათ არ შევებთან. გაცანით და
იქნებ, როგორც მათი პარტიის ლიდერს დავიკლოს,
რაზედაც მე საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

— არ მომსპო ამ ოჯახ დაქცეულმა! — ჩაილა-
პარაკა ჩუმით ლაზარემ. (მაყურებლებში საერთო
სიცილია.)

სატანა.

უსტარი ეშმაკისადმი.

(სოფ. ტიბანიდან, სიღნაღის მაზრა)

თავისუფალ ჯოჯოხეთის
დიდო ტარტაროზო,
გარეგნობით*) შე ეშმაკო,
სულით ანგელოზო;

გთხოვ როგორმე მოიცალო,
თუნდ სულ მცირე ხანსა
და ეწვიო რევიზორად
სოფელ ტიბანსა.

ჩვენში ისევ ძველებურად
სუფევს ყველაფერი,
ხალხს ღღესაც კი ვერ უცნია
მოყვარე და მტერი.

მაგალითად რომ ავიღოთ
აქაური მღვდელი,
სწორედ ისე მუშაუხელობს
ვით ტარტუფი გველი.

თუმც ის ძლიერ განარისხა
ტაბლის აკრძალვამა,
მაგრამ სხვაფრივ დატრიალდა
„სულიერი მამა“

ერთ ღღეს თვისთან მიიწვია
ურჩი გლენ კაცობა,
გაუშალა ლურჯი სუფრა,
გააჩაღა თრობა.

წვეულთ მანვე გაუწია
„უხვი“ მასპინძლობა,
ღვინის სმის ღროს იქადაგა
„ერთობა და ძმობა“.

როცა ხალხი გამოათრო
და დაუხშო გრძნობა,
„სამღთო“ ტაბლა-კორკოტებზე
მაშინ იწყო ბქობა.

თითქმის ისე დააბრმავა
ურჩი გლენ კაცობა,
რომ მათს დადგენილებებზე
აწყებინა გმობა.

*) ბევრჯერ ნაცვითი, ეს ქართული ტერმინია ისე კი
პირველ დოცენტს ხმარდებენ.

*) ფსევდონიმით, კარიკატურით.

მისივ სრიკით დაითხოვეს
 სოფლის ბანკის გამგე,
 ხალხის გულ-შემატკივარი,
 მისი მოამაგე.
 და სანდრო თათარაშვილი
 რა წამს დაითხოვეს,
 ბანკის მართვა-პატრონობა
 ამ ხუცესსა სთხოვეს.

ასე იყო. ალექსანდრე*)
 ასე შეაჩვენეს,
 და მის ნაცვლად ბანკის გამგედ
 კოტე**) დააყენეს.

სხვასაც გეტყვი, მაგრამ, რომ ეს
 არ მიიღო ქორად,
 ამისათვის ადვილობრივ
 გიწვევთ რევიზორად.

ჭინკა.

სოფლის მექორეები.

(უძღვნი მექორე ქალებს)

დალაღული ჯაფითა,
 მოდის თეო ჩაფითა,
 რომ წყალი მოიტანოს,
 ხელ-პირი დაიბანოს.
 და წყაროსთან თამარა,
 (მარტო თუნგის ამარა)
 გამოსულა ველათა.
 ქორების სათქმელათა.
 ძალითა და ნებითა,
 ახალ ამბავებითა,
 გაბერილა ვით ტიკი
 და დაიწყო ტიკტიკი!..
 გაისმა ტიტინია.
 გამოიქცა თინია!...
 მიმოვაღვე თვალები,
 მიწყობრათ ისხდენ ქალები!

გაიცინა თამარამ,
 (ქორის გულა—ტომარამ)
 ისე ვყიდი ქორებსო,
 ვერვინ ვერ მისწორებსო!...
 ხალხის დანახვანზედა,
 სწრაფათ შენტა ქვაზედა,
 ერთი ამოახველა,
 და გაინაბა ყველა!
 მოჰყვა: ქუთაისშიო,
 არის დიდი შიშიო!
 ვილაც ძარიანათო,
 ურემ-ხარინათო,
 ჩაუყლაპავს გველსაო,
 მყარას და საძაგელსაო.
 როგორც რომ ბაწარიო,
 ისე გრძელი არისო.
 თურმე ასი რქა ააქვსო,
 დედამიწა გააქვსო.
 გველეშაპ-ყლაპვიო.
 ცხრა თავი აბიაო.
 დაღუპულა თურმეო
 საწყალი მეურმეო,
 გაუწყურეს ღვთის ძალოო,
 ჩვენში რამ მოლალოო.

ივლიანე მერკვილაძე.

თ ს ო ვ ნ ა

მის უმაღლესობას, ჯოჯოხეთის მთავარ კომი-
სარს ამხ. ეშმაკს.

ქალაქ ნახალგეის (თფილ. გუბ.)
შოქალაქე „ჩაშუქული.“

მოწყალეო ეშმაკო! მას შემდეგ, რაც ნიკო-
ლოზმა, მობეზრების შემდეგ, რუსეთის დემოკრა-
ტიას დაუთმო თავისი ტანტი და საექსკურსიოთ შო-
რულ ციმბირისკენ დაიწყო აბარგვა, მე ვფიქრო-
ბდი: მორჩა და გათავდა, აწ აღარ ექნება ადგილი
იმ უსიტყვოთ*) კარების გამოხურვას, რაც ახსია-
თებდა ნიკოლოზის უაღრეს გულკეთილობას. მაგ-

*) ბანკის გამგე სანდრო თათარაშვილი.
 **) სხენებული მღვდელი კოტე ნინიკაშვილი.

*) გინება და ცემა ახა რამისთავადია?

რომ საშინლათ მოვტილოდი. ჩემი იმედები არ გამართლდა. პირიქით, ზოგ ბნელ კუნჭულებში ახლა უფრო ცუდ ამბებს აქვს აღვილი. წინათ წლოვნობას მაინც აქცევდნენ ყურადღებას, ახლა იმასაც არ დაგიდევნენ. საქმე შემდეგ შიამ: ამას წინათ ძველი სასულიერო სემინარიის შენობაში შევიარე, რომ გამეგო ერთი დიდხნის უნახავი კაცის ამბავი. ავედი კიბეზე და გაუფრთხილებლათ შევალე ნაცნობის ოთახის კარები შევადე კარები თუ არა სახტათ დაღრჩი. ჩემ თვალების წინ უცნაური სურათი გადაიშალა. პატარა, სულ ექვსიოდ წლის ბავშვმა თავგანწირული ღრიალით დაიწყო კედლებზე ფათური. გაშმაგებული უნდოდა საღაც გაქცევა, მაგრამ ვერ ახერხებდა კედლების სიმაგრის გამო. პირველ შეხედვაზე ძლიერ გამოაცა ამ მოულოდნელმა სანახაობამ. ვიფიქრე იქნება მევარ ასეთი საშიში სანახავი მეთქი და მივარდი ფანჯარასთან (როგორც ქალებისთვის მიყურებია) მინაში ჩასახედათ. სახე და საზოგადოთ მოყვანილობა დამაკმაყოფილებლათ ე. ი. არა საშიშრათ, ვიცანი**). აღარ ვიცოდი რამექნა, რით მეშველა ამ საბრალო ბავშვისთვის. მუტი გზა არ იყო, კარებში გავჩერდი და შეუდექი მიზეზების გამოკვლევას, მომავონდა პატარაობისას ბარტყების ქერა და გალიაში ჩასმა. სწორეთ გალიაში ჩასმულ ბარტყს მაგონებდა ეს ბავშვი, იმ ბარტყს, რომელიც გალიაში შეყოფილი ხელის შიშით თავდაუზოგავათ ეხეთქება კედლებზე. მაგრამ ვერ მივმხდარიყავი, რა იყო საერთო ჩიტსა და ბავშვის შორის. ჩიტს სიტყვიერით მოსდის. მაგრამ ბავშვი ხომ ტყვიური არ არის, ვფიქრობდი მე. ამ ფიქრის დროს თვით ოთახსაც შემოვავლენ თვალი, რომელიც ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მარჯვენა კედლით იდგა მაგიდა და სკამი, რომელიც შეშინებულმა ბავშვმა კინალამ დამტვრია იქვე კედელზე ორი დროშა იყო აყულებული. მე გულ მოდგენით დავიწყე წარწერების ამოკითხვა. „მიეცით ხალხს მიწა და თავისუფლება“. წაკითხვისას თვალ წინ წარმოამიღვა დამწერის უსახდრო გულ უხვობა. დანარჩენის წაკითხვა ჩემთვის საჭიროც არ იყო, უკვე მიმხდარი ვიყავი, ეს ჩენი ერის სიამაყე პარტიის დროშა იყო დანაოქე-

ბულმა და ფერქცეულმა დროშამ მომავონა ჩენი ძრავალტანჯული ერი და მისთვის თავდადებული პარტიის მოქმედება ერის საკეთილდღეოთ, მომავონდა ამ პარტიის მშენებება, თავგანწირული მებრძოლი, თედო ღლონტი*) და მირი სარკე „სახალოხო საქმე“ (იხილ „სახ. საქ. №). რომლის თვითეულ სიტყვაში თედოს მშენებება გამოიყურება.

ამასობაში ბავშვის გაცხარება უკიდურესობამდის მივიდა, მე იძულებული გავხდი ფიქრისთვის თავი დამენებებინა და მის დამშვიდებისთვის მიმეყო ხელი. ეხლა ჩემთვის აშკარა იყო მიზეზი ბავშვის შეშინებისა, მაგრამ მაინც შევეკითხე.

- რა არის ყმაწვილა შენი შეშინების მიზეზი?
- ...მამ... ვეე... მამ... ეე... მეე...
- რა იყო რა დაგემართა?
- ...— მე... შეე... მეე... ში... ნა...
- მიზეზი ძია შენი შეშინების?

ამ სიტყვებზე ბავშვი ცოტა დამშვიდდა, იგრძნო ჩემი ბავშვებისადმი უსახდრო სიყვარული, ალობათ მიხვდა, რომ საფრთხე აღარ იყო და დარცხვენით შემომხედა.

მე ხელ მეორეთ შევეკითხე.

— მე შევაშინა, რადგანაც... რაც აქ ვარ მის შემდეგ ერთი კაციც არ მინახავს შიგ შემოსული. შემდეგ ჩემს შეკითხვაზე თუ რათ ზის პარტო ამ ოთახში, მან მომიგო, წევრებს ვწერ პარტიაშიო.

იმდენათ სობრალულის აღმძრელი იყო ბავშვის საქციელი, იმდენათ შესაცოდებელი იყო მისი ქქერა, რომ იძულებული გავხდი თქვენდა თხოვნით მომეძერთა, თუმცა პრინციპილრათ თხოვნების წინააღმდეგი ვარ: აა რა ჩავრას აქვს ამ ქვეყნად დღესაც ადგლი და უმორჩილესათ გთხოვთ შიამქციოთ ამას შესაფერი ყურადღება. ყველა ეს დროებითი მთავრობისთვის საიდუმლოებას შეადგენს, მხოლოდ ერთს, თქვენს შორს გამქვრეტ ავალებს შეუძლია დაინახოს ეს უსამართლობა. რასაკვირველია მე ამ თხოვნით მოგმართავთ, არა დროებითი რევოლუციონური მთავრობის, არამედ დროებითი „სარევილიუციო“ პარტიის წინააღმდეგ. ჩემი თხოვნა კონკრეტულათ ასეთია: დაიხსნათ ბავშვი ამ გასაქირისავან და შემდეგისათვის არ მისცეთ პარტიას საშუალება ასეთები ჩაიდინოს, თორემ თუ ბნმა დალაქმა ვერ მოასწრო ბავშვების დაგლეჯა იმერეთში, თედო ღლონტი რამოდენიმე ბავშვების გატყუარებას მაინც მოასწრობს აქ.

თხოვნელი: ჩაბუწყული.

**) სახის დანახვაზე შიში თითქმის სულ არ მაგრძნია და რაფიცი.

*) მკითხველს ეცოდინება თუ რით და რას ებრძვის ეს მგოსანი. რასაკვირველია, კალმით მელანს და ქალაღს.

კომისარტან

კავშირება, იხ. „ქმ. მათ.“ № 36.

VI

კომისარი, მილიციონერი და ბასილა.

ბასილა. (უშუა კაცია. ღარიბულად, მაგრამ სუფთად აცვია. ეტყობა ჯაფისაგან მოტეხილობა, ჩონა-ახლოხი აცვია, ფეხებზე ქალამნები, თავზე ტყავის ქული ჰხურავს. გძელ ღაპარაკთან სიტყვის გაპრტყელებაც უყვარს. შემოსვლისთანავე ქულს მოიხდის და მდაბლათ სალამს აძლევს კომისარს.) კომიტეტი აცოცხლა ღმერთმა!

კომისარი. გამდლობთ, რა გნებავთ, ბძანეთ.

ბასილა. (ხელგებს აღაპრობს) ღმერთთა მართალი, რომე მე ბოროტი კაცი არცა ვყოფილვარ და არცა ვარ. რაფარც ქრისტეს აღდგომას, ისეთ მოველოდი ამ ახალთაობას, ბატონო კომიტატო, მარა რალცა გლახა ამბავი მეყურება და შენ თუ არ ამიხსენი რაშია საქმე, ნამდვილ რწმენა დამეკარგება ამ ახალთაობაზე.

კომისარი. (გაკვირებული) რაშია საქმე, ამხანაგო, სიტყვათ!

ბასილა. ბოშო, აშენებას მოველოდი ამ ახალთაობიდან, შენი ჭირი შემეყაროს და რაღა დევიჯერო ახლა იგი მართალი იყვეს... (კომისართან მივა ახლო და ჩუმად ელაპარაკება) შენ ჩვენთვის გლახა არც სხუმი, ვდომებია და რაღა დევიჯერო ახლა შენ რჯულსა და სარწმუნებას უღალატო!

კომისარი. (განცვიფრებული) გამაგებინეთ რაშია საქმე!

ბასილა- (სიტყვის პრტყელებით) შენი მუხლები ჭირიმე მართალი მითხარათ ყორისფელი. ამ თორმეტი წლის წინეთ ქე გიცნობდი ჩვენ სოფელში რომ დვიარებოდი და ქადაგობდი. ისეთი სიყვარული ჩამივარდა შენი, რომე ქეშმარიტათ ღვიძლ ძმას მიჩვენებინარ. ხო და მე იმიზა გიახელით შენთან, რომე შენ ნამდვილ მართალს მეტყვი ყორისფერს. ბოშო, ამბობენ: „გლახებს მიწები უნდა ჩამოვართვათო“ და შენ დაგენაცვლოს ბასილა, მითხარი მართლა ასტეა ჩვენი საქმე, მართლა ასეთ უბედურ ეტლზე ვართ დაბადებული, რომე ხალხი

გაკეთებას მოველოდი ამ ახალთაობიდან და რა-ცა გვაქვს იმასაც გვართმევენ?! ბოშო, ჩვენი უჩიტელი ბროდიალობდა საყუარზე რაცალას, მარა როდი დოუჯერე შენი ჭირი შემეყაროს, მე შენთან იმიზა გიახელი, რომე შენ რასაც მიბძანებ, ის ნამდვილ მართალი იქნება.

კომისარი. მერე ვინ ავიხსნათ თქვენ ასე მიწის საკითხი?

ბასილა. ჩვენი უჩიტელი ქადაგობდა ხალხში, შენ დაგენაცვლოს ბასილა, რომე „ყველას უნდა ჩამოვართვათ მიწები“ ო. ბოშო, მე კანი თელათ გადავიღლიტე მუშაობით ხელგებზე, რაცხა ვიხლავოროთე, სამოსახლო მიწა გავაშენე და ეხლა თუ იგი სხვამ წამართვა, ნამდვილ თავს მოვიკლავ შენ ნუ მოუკვდები ბასილას! ბიჭო, ჩემ სამოსახლო მიწას, ჩემი ბრუციანი სახლიკაცი თუთხმეტი წელიწადია მოსჩერებია და უნდა ხელში ჩვიდლოს, მარა დღეი და დამე გავასწორე, რომე მტრისა და მეზობლის სამახარაოთ არ შევიქნე თქვა. ისტე გავაშენე იგი სამოსახლო მიწა, რომე ქეშმარიტათ მოვეწონება რომ ნახო. (უწუწუნით.) მერე საცოდვარი შამიჩემის ხელითაა დარგული ეხოში თერთმეტი მისთანა ბეოლა რომე... (ტირილთ) საცოდვარი რომ კვდებოდა მიმიხმო და მითხრა: „ე, ბიჭო ბასილა, ამ ბეოლეს გოუფთხილდი და ჩემ სამახლოვროთ გამოზარდი!“ ო. ეხლა რომ მე ის მიწა წამართვას ვინმემ ნამდვილ თოლხო კვერცხივია შევასკვდები ზედ, შენ ნუ მოუკვდები ბასილას!

კომისარი. ტყუილი უთქვამთ შენთვის, ჩემო ბასილა, შენ იმ მიწას ვერავინ წავართმევს.

ბასილა. (გახარებული) იი! შენ ავაშენა იესო მაცხოვარმა! ნამდვილ ვერავინ წავართმევს აბა, ჰა! კომისარი. კაცო, რამ გდაგროა, სამოსახლო მიწას ვინ წავართმევს!

ბასილა. ისემც კაი დაგემართოს! (წასვლას აპირებს, მაგრამ შემობრუნდება) მე იმ ბეოლების დარდი მაქვს. შენ დაგენაცვლოს ბასილა, თვარა სხვაი ჯანაბას ყორისფელი, რამდენ კეკალ ბეოლას მოვწყვეტ, ბატონო, მაშინვე ის ცხონებული შამიჩემი დამიდგება თვალწინ. ვაი, დედაია რა ვაქ-კაცი იყო! კვდებოდა უბედური და იმას მიბარბდა: „ბიჭო, ბასილა არევი დაგიჯაბინოსო“. ეხლა თუ ის პატარძალივით მორთული სამოსახლო მიწა წამართვა ვინმემ. ნამდვილ დაჯაბნება ის იქნება და

სისხლს დავაქცევ, შენ ნუ მოუკვდები ბასილას. იმ ცხონებულის ანდერძს მაინც არ ვავტებ. თუნდა რომე ახლავე ბაწარში გამაყოფიო თავი.

კამისარი. (ღიმილით.) სრულიად დაიმედებული ბძანდებოდე, ჩემო ბასილა, შენ სახლ კარს ხელს ვერავინ ახლებს.

ბასილა. (ძალიან გახარებული) იი, მართლა შენ დაგენაცვლოს ბასილა?! (ხელებს აღაპყრობს) ღმერთო, შენ აცოცხლე და გაამრავლე ჩვენი კომიტატი! დედა, იგი ბჟოლები თუ არავინ წამრთვა მეტი კი არაფერი მინდა (მოდს)

კამისარი. ნუ გეშინიან, ნუ, ვერავინ წავართმევს.

ბასილა. (კარებიდან მობრუნდება) ვანა კი რა, შენ დაგენაცვლოს ბასილა, მარა საცოდვარი მამიჩემის ხელითაა დარგული ის ბჟოლები და მენანება, ბატონო კომიტატო, მენანება. იმ ბჟოლებს რომ შეეხედავ, შენ დაგენაცვლოს ბასილა, თუნდამც მამიჩემისა შემიხედია.

კამისარი. (სცილით) ნუ გეშინიან, ჩემო ბასილა, ნუ.

ბასილა. (კიდევ შემობრუნდება) მერე, რამხელა კეკლები იცის, ბატონო კომიტატო.. ღმერთო, შენ ააშენე ჩვენი კომიტატის ოჯახი. (მოდის)

კამისარი. გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ბასილა.

ბასილა. (კიდევ მოტრიალდება) იი, შენ მუხლებს დაგენაცვლე, რომ ყორისფელი გამაგებე, თვარა ნაჯახი უნდა გამომესო კისერში ისთე იყო საქმე, არა, მე იგი მაჯაერბდა, ბატონო კომიტატო, რომე სულ კეკალ-კეკალ მამიჩემის ხელითაა დარგული ის ბჟოლები და მის წართმევას ნამდვილ ვერ მეფითმენდი, შენ ნუ— მოუკვდები ბასილას. მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ბატონო!

კამისარი. გმადლობთ, გმადლობთ.

ბასილა. (კიდევ შემობრუნდება) რაღაი ის ბჟოლები მე დამრჩება თუნდამც ათასი მანათი მეშონოს ისტე ჩავადებ, შენ ნუ მოუკვდები ბასილას. მშვიდობით, მშვიდობით, შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი. (მოდის მუქარით) მე ვაყურებივ სეირს იმ ჩვენ მატყუარა უჩიტელს! (გადის)

კამისარი (იციინის) საწყალი, კაცო ძალიან შეშინებული!

მიჯიდიფიერი. იმე, ბეტონო, შეშინდება აბა

რა იქნება! კაცს ვი-ვაგლახით რაცხა მოუფოჩიხე-ბია და იგი სხვამ წაართვას ხუმრობა კრ არ არის. კამისარი. ვინ წაართმევს, რას ლაპარაკობ შენაც! გაუღე კარები, შემოუშვი და მოვრჩეთ. (მილიციონერი კარს აღებს და შემოდის ანთიმოსს. თან მოყვება სალომე.)

VII

კამისარი, მილიციონერი, ანთიმოსა და სალომე.

ანთიმოს — (ღრმად მოხუცებული კაცია. ძალიან ღარიბულად აცვია. ჭუჭყისაგან გაშვევლულ პერანგზე ძველი დახეული ახალუხი აცვია. უბრალო ღვედი არტყია წელზე. ფეხზე ქალამნები აცვია. თავზე ყაბალახი ჰხურავს. შემოვა ყაბალახს გაღიხდის და მდამლაო თავს უკრავს კამისარს. დაეყრდნობა ჯოხზე და ისე ელაპარაკება. უკბილობისა გამო ჩივივებს.) ახალთაობას გუფმარჯოს!

კამისარი — გაუმარჯოს, გაუმარჯოს! სხვა, ბაბუა, რას გვიბძანებ?

ანთიმოს — (გულზე ხელს ირტყავს) ვაი, დედასა, სად ყოფილა სამოთხე და სად ვიყავით! ნამდვილ ბაწარზე ჩამოსაყიდებელია ვინცხას ავი ახალთაობა არ უნდოდა! ბიჭო, ასტე ზდილობიანათ, ასტე ბძანებით ვინ მოგისხენიებდა ძველათ! იმე, ჩვენი პრისტავისაგან სულ ღერ-ღერ მქონდა გადაგლეჯილი წვერულევაში და შენ კი ზდილობიანათ მეუბნები: „რას გვიბძანებ!“ უი, შენ დაგენაცვლოს შენი ანთიმოსა.

კამისარი — კარგია, ბაბუა, ახალთაობა?

ანთიმოს — იმე, რას ბძანებ, ბატონო, რას ის ურწმუნო ჩვენი პრისტავი რომ დამაგლეჯდა ამ წვერებს გუნჯალ—გუნჯალ, ჩიჩილას სულ არ ყიდულობდა სააღდომოთ, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს, (ხელებს აღაპყრობს) ღმერთო, შენ ააშენე ავი ახალი მთავრობა და გააძლიერე მამაშეციერო!

კამისარი — სხვა, რაზე გარჯილხართ, ბაბუა, გვიბძანეთ?

ანთიმოს — მე, შენი ჭირი შემეყაროს, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს შენთან და იმედიცა მაქვს, რომე არ გამაწილებ ამ მოხუცებულ კაცს და სიბერეს არ გამიმწარებ. (ქალიშვილზე უთითებს, რომელიც თავჩაღუნული, მორცხვად უდგია გვერდზედ მარჯენივ) ამ ერთი ბოგშის მეტი არაფერი

გამაჩნია, შენი ჭირი შემეყაროს და ნუ მიზამთ ისტე, რომე აგიც ხელიდან გამომეცალოს. სამ პირი ცოლშვილიდან აგი ერთი ბოვში ძლიეს გამოვზარდე, შენი ჭირი შემეყაროს, მარა რაღაი, არც ეს შტიქნა ბედნიერი ეს საცოდარი! ერთი ბიჭი ჩევისიძე, შენი ჭირი შემეყაროს, მარა რგიც ვანში წეიყვანეს და დავრჩი მარტოკა აგი აძალღებული ბეზერი სახლში და არ ვიცი სით უნდა გადავარდე, რავე უნდა გოუძლო ამ უბედურ დროებას! სულ სამი-ოთხი თვე არ უცხოვრია ამ საცოდვარ გოგოს ქმართან, ისტე უცებ მოგლოჯენ გულიდან! აგი ბოვში დამიმპლექდა და დამიჯავრიანდა, შენი ჭირი შემეყაროს, თვარა ჩემი თავი ჭირსაც წოულია. ამ უბედურს მთელი დამე არ სძინავს, სულ აზოდებს, სულ სიზმრებშია, სულ მის ხსენებაშია, შენ არ მოუკვდე ჩემ თავს.

კამისაწა — მერე, რა გნებავეთ ჩემგან, რისთვის გაისარჯეთ?

ანთიმსა — შენთან იმაზე! გიახელი, შენი ჭირი შემეყაროს, რომე რაეარც ახალთაობმს ადამიანი, შედი ამ ბოვშის საცოდობაში და გამეითხოვე ის ბიჭი ვანეიდან, თვარა გოგო მომიკვდება მე უბედურს და თელათ დევიღლები კაცი! ბოვშია, შენი ჭირი შემეყაროს და ქმარი მოენატრა, ბატონო, ქმარი.

კამისაწა — (ღიმილით) საუბედუროთ ეგ საქმე ჩვენს ვანკარგულებაში არ შედის, ჩემო ბაბუა და ამიტომ მეგ თხოვნას ვერ შეგისრულებ.

ანთიმსა — იმე, რეიზა, ბატონო, რეიზა! ერთი თვის ოპუსკი მიანიჭე; შენი ჭირი შემეყაროს და მეტი არ უნდა. (სალომეს) გეყოფა გოგო ერთევეს?

სალომე — (უბრალო ჩითის კაბა-„რუბაშკა“ აცვია, ფეხზე წულები, თავზე ქრელი ჩითის თავსაფარი ახვევია. ხელოში უბრალო ქოლკა უჭირავს. გარეთ გამოუსვლელი და სრულიად მორცხვი ადამიანია. სალომეს მამის სიტყვების შერცხვება.) უიმე, ღმერთო მომკალი! რას ამობ ბეჩა!

ანთიმსა — ხმა ამეიღე ხო, რას ბურტყულებ! სახლში არ მასვენებდი: „ქმარი მინდაო,“ და აქანე ენა ჩავივარდა?! სახოვე ავერ ბატონსან ადამიანს და შეგისრულებს თხოვნას.

სალომე — (მორცხვად) ერთი თვე მეტი არა?!

ანთიმსა — ხო, ერთი თვე, ამა თელათ კი არ

ევენ წამოგიჯენს გვერდში. (კომისარს) ბოვშია, შენი ჭირი შემეყაროს და მოენატრება ქმარი, აბა რა ჯანაბა იქნება! მე რომ ჩემი ცხონებული აგრაფინა დავმარხე, სული წამივიდა, ბატონო, სული და ძილი სულ არ მომეკარება. შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს, (სიცილით) ერთხელ, შენი ჭირი შემეყაროს, შუალამისას პერანგის ამარა გვეიქეცი დანიშნულთან, შენ ნუ მოუკვდები ანთიმოსას!

კამისაწა — (ისცილით) შეგდვივარ თქვენ მდგომარეობაში, მაგრამ რა ვქნა, მე მისი დაბრუნება არ შემძლიან.

ანთიმსა — იმე, რეიზა, ბატონო, რეიზა! რავე, ხემწიფე ვადმოაკოტრიალეთ ტახტიდან, შენი ჭირი შემეყაროს და დევიჯგრო ახლა ასეთი ბატარა საქმე ვაგიჭირდებათ!

კამისაწა — მე არაფერი არ შემძლიან, ბატონო ანთიმოს, ეგ საქმე სამხედრო უწყებას ეკუთვნის. კომისარი არჩევს უბრალო, შინაურ საქმეებს. აი მავალითად: თუ ვინმემ რამე წაგართვათ...

ანთიმსა — (აწყვეტინებს) იმე, წამართვეს, ბატონო, აბა ჩემით გოუშობდი ახლა იმას ვანში! ანდრეზს დაგიტიებ, შენი ჭირი შემეყაროს და გამეიწერე ი ბიჭი... (გოგოს) იმ ბიჭის ანდრეზი რა უქენი ბოშო?

კამისაწა — მე არაფერი აღრესი არ მინდა, რადგან ვერაფერს დაგეხმარებთ.

ანთიმსა — (შეწუხებული) იმე, გოგო ვადამერევა, შენი ჭირი შემეყაროს, თვარა სხვას კი არ ვჩივი.

კამისაწა — ბატონო, გაიგეთ, რომ ჩემი საქმე არ არის! (სალომე იცრემლდება)

ანთიმსა — იმე, შე დალოცვილო, ღორების საქმეს არჩევთ და აგი ადამიანია რაც უნდა იყოს (სალომეზე აჩვენებს)

ანთიმსა — იმე, ბოვში გიდამერევა, ბოვში, შენი ჭირი შემეყაროს.

კამისაწა. (მოთმინებიდან გამოსული) არ-არის ჩემი საქმე! (სალომე ტირის)

(დასასრული იქნება) გოგია.

გ ა შ მ ს ა ნ ა

(-ცანიხათვის)

კაცი.

პოეტიც ვარ, დრამატურგიც,
ვარ არტისტი რეჟისორი,
მხატვარი და პედაგოგი
ვერსად ნახოთ ჩემი სწორი.

ბატი

ცურვაც ვიცი, ფრენაც ვიცი,
ვიცი კოხტა სიარული,
სიმათლეს რომ ვლაპარაკობ
კი არ დასწყდეს ვისმეს გული.

ინდაური კრიტიკოსი.

ხდება „რუჩკა“, ხდება „პერო“,
ფარდა, სცენა, „კრასკა“, ფული:
ვის უნახავს კარგათ ბატის
ფრენა, ცურვა, სიარული.

ოსკანდერ

სარეკლამული მუშეუმი



ეშმაკი. აქ კომისარსა მოლოდინზე უფრო მდიდარი და საყურადღებო გამოვიდა.